განმარტებითი ბარათი
"საქართველოსა და ევროკავშირს შორის საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის სტატუსის შესახებ შეთანხმების" პროექტის თაობაზე

საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნი მიხეილ სააკაშვილის ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივნის/ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმოადგენლისადმი ბ-ნი ხავიერ სოლანასადმი გაგზავნილი წერილობითი თხოვნისა და ბ-ნი ხავიერ სოლანას საპასუხო დადებითი წერილის საფუძველზე, საქართველოში ჩამოსულია ევროკავშირის მონიტორინგის მისია.

ევროკავშირის მონიტორინგის მისიის საქართველოში წარმოგზავნის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ევროპული საბჭოს საგანგებო შეხვედრაზე მ.წ. 1 სექტემბერს; ხოლო მ.წ 15 სექტემბრის ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მანდატი;

"საქართველოსა და ევროკავშირს შორის საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის სტატუსის შესახებ შეთანხმების" პროექტი განსაზღვრავს საქართველოში დისლოცირებული ევროკავშირის მონიტორინგის მისიის სტატუსსა და მისგან გამომდინარე უფლებებსა და პრივილეგიებს.

საქართველოში აგვისტოს მოვლენების შედეგად შექმნილი მძიმე მდგომარეობის განსამუხტად და რუსული სამხედრო ძალების 7 აგვისტომდე პოზიციებზე დასაბრუნებლად, ევროკავშირის მისიას ეკისრება არსებითი მნიშვნელობა.

ზემოაღნიშნული შეთანხმება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მისიის მიერ მანდატით გათვალისწინებული ვალდებულებების ეფექტურ შესრულებას.

ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია, ხელი მოეწეროს "საქართველოსა და ევროკავშირს შორის საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის სტატუსის შესახებ შეთანხმებას".